შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;

ბ/--კალენდარული გეგმა;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი:

-“სამშენებლო გენგეგმა” ნახაზი მო-1;
-“სამონტაჟო სქემა” ნახაზი მო-2;

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

2. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, დოდო აბაშიძის ქუჩაზე. საპროექტო ობიექტი---- მრავალფუნქციური კომპლექსი, რომელიც შედგება ორი ბლოკისგან: ბლოკი "ა" /ბანკის ნაწილი/ და ბლოკი "ბ" /სასტუმროს ნაწილი/. ბლოკი "ა" არის ხუთსართულიანი, ხოლო ბლოკი "ბ" არის რვასართულიანი. სასტუმროში განთავსდება 152 ნომერი. კომპლექსს გააჩნია ორი მიწისქვეშა საერთო სართული, სადაც განლაგდება ავტოსადგომი. კომპლექსის კონსტრუქციის ჩონჩხედი წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასს, რომლის ელემენტები-კოლონები, რიგელები და გადახურვები მონოლითური რკინაბეტონისაა. სახურავი ბრტყელია.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--მიწის ნაკვეთის საერთო ფართი----------9914.00მ^2;
--საოფისე ფართი----------4306.00მ^2;
--სასტუმროს ნომრების ფართი----------4749.80მ^2;
--ავტოსადგომის ფართი----------4192.00მ^2;
--საერთო ფართი----------21604.40მ^2;
--განაშენიანობის ფართი----------5136.80მ^2

3. საპროექტო ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ 487, პ 1-ის მიხედვით T=28.00თვე, სადაც 2.00 –მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. გვ 2 პ 11-ის მიხედვით T=28.00+3.00=31.00თვე. გვ. 4 პ. 17-ის მიხედვით T=31.00x1.15=36.00თვე. დამკვეთის სურვილის თანახმად მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებულია **26.00თვე.**

<u>მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს</u>:
-- ტერიტორიის შემოღობვა დროებითი საფარიანი ღობით /გაკეთებულია სადემონტაჟო სამუშაოების დროს/;
-- დარჩენილი ნაგებობების აღება /მსუბუქი კონსტრუქციების გამო ხელით/;

-- არსებული საყრდენი კედლის დემონტაჟი და სამშენებლო უბნის შემოღობვა დროებითი საფარიანი ღობით, რომელიც შემდგომ დაყენდება ტერიტორიის წითელი ხაზის ფარგლებში;
-- დროებითი “ნაგებობების” განლაგება უსაფრთხო ადგილზე /გაკეთებულია სადემონტაჟო სამუშაოების დროს/;
-- საპროექტო ქსელების გაყვანა;
-- ტერიტორიის დროებითი განათება;
-- სამშენებლო მასალების შემოტანა;
-- სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;
-- ხანძრისგან დაცვის სისტემის მონტაჟი და შეერთება დროებით წყალსადენის ქსელთან.

3. გრუნტის დამუშავებამდე დაზუსტდეს მიწისქვეშა მოქმედი ქსელების განლაგება და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინდეს მათი გადატანა. გრუნტის დამუშავება მოხდეს ექსკავატორით და ხელით ქვაბულის კედლების გამაგრებით /იხ. ნახაზი მო-1/ და სრული მოცულობის გატანით. დროებით გამაგრებასთან და არსებულ ქსელებთან გრუნტის დამუშავება მოხდეს მარტო ხელით.

შენიშვნა: საპროექტო სასტუმროს “F” ღერძის გასწვრივ გამაგრების შერჩევა და ანგარიში /დიდი სიღრმის გამო/ მოხდეს პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში.

4. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს კოშკური ამწე **"C5510-6t"-**ის (1 ცალი) გამოყენება.

კოშკური ამწე №1-ის მუშაობისას უნდა მოხდეს:
-- მექანიზმის დაყენება საძირკვლის დონეზე;
-- ამწის ისრის შემობრუნების შეზღუდვა;
-- ურიკის მოძრაობის შეზღუდვა, ამწის მუშაობის საშიში ზონის ზომები /СНиП III-4-80 თანახმად/:
R=10.00+40.00=50.00მ,
-- ურიკის შეზღუდული მოძრაობის გამო, თითოეულ სართულზე სამშენებლო მასალების ნაწილობრივად განაწილება ხელით /იხ. ნახ. მო-1/.

შენიშვნები: ა/ კოშკური ამწეების დემონტაჟის შემდეგ თითოეულ შენობაზე შეიძლება დაყენდეს სამშენებლო საწევლა;

ბ/ უსაფრთხოების თვალსაზრისით სასტუმროს შენობაზე “F” ღერძის გასწვრივ გაკეთდეს ბადიანი საფარები თითოეულ სართულზე.

გ/ იმ არეალებში სადაც ამწე ვერ ფარავს სამუშაო არეალში, სამუშაოები ნაწილობრივ წარიმართოს ხელით.

სამუშაოების რიგები და ეტაპები:

მეორე რიგი--------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:

--მესამე ეტაპი-------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები ნაწილობრივი გამაგრებით, ფუძის დავსაძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე----------90 დღე;
--მეოთხე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან----------540 დღე;
--მეხუთე ეტაპი------სახურავის და გადახურვის მოწყობა----------180 დღე;
--მეექვსე ეტაპი------არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა ბლოკი----------270 დღე;
--მეშვიდე ეტაპი------არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა /ჩ ბლოკი----------450 დღე;
--მერვე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა ბლოკი----------360 დღე;
--მეცხრე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა /ჩ ბლოკი-------420 დღე;
--მეათე ეტაპი--------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი ბლოკი----------120 დღე;
--მეთერთმეტე ეტაპი--------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი, /ჩ ბლოკი----------240 დღე;
--მეთორმეტე ეტაპი----შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები ბლოკი----------420 დღე;
--მეცამატე ეტაპი----შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები /ჩ ბლოკი----------570 დღე;
--მეთოთხმეტე ეტაპი-------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები ბლოკი----------210 დღე.
--მეთხუთმეტე ეტაპი-------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები /ჩ ბლოკი----------420 დღე.

5. უსაფრთხოების ტექნიკა

ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:

კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.

კანონი "წყლის შესახებ" 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

კანონი "ატმოსფერული ჰაერის შესახებ" 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.

კანონი " მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ" 1998წ მოიცავს მავნე ნივთირების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.

კომკურა ამწე "C5510-6t" ტექნიკური მაჩვენებლები

1	კავის მაქსიმალური გადაწვდომა		მეტრი	55
2	ტვირთის აწევის მაქსიმალური სიმაღლე		მეტრი	42
3	მაქსიმალური ტვირთამწეობა	2 ბაგირი (SR)	კგ	3000
4		4 ბაგირი (DR)	კგ	6000
5	კავის გადაწვდომა მაქსიმალურ ტვირთამწეობაზე	2 ბაგირი (SR)	მეტრი	24.76
6		4 ბაგირი (DR)	მეტრი	13.74
7	ტვირთამწეობა კავის მაქსიმალურ გადაწვდომაზე	2 ბაგირი (SR)	კგ	1000
8		4 ბაგირი (DR)	კგ	980
9	სამუშაო ტემპერატურა		C^{O}	იხ. ექსპლუატაციის ინსტრუქცია
10	ურიკის გადაადგილების სიჩქარე		მ/წთ	15/38/58
11	ისრის მობრუნების სიჩქარე		ბრ/წთ	0-0.7
12	ისრის მობრუნების კუთხე		გრადუსი	360
13	ელექტროენერგიის მოხმარება			380V; 50Hz;3 ფაზა

ტვირთის აწევა (დაშვების) სიჩქარე

		I	II
SR	მ/წთ	0 - 40	0 - 80
	კგ	3000	1500
DR	მ/წთ	0 - 20	0 - 40
	კგ	6000	6000

ამწის ტვირთამწეობა კავის გადაწვდომაზე

კომკურა ამწე "C5510-6t"



ორი ბაგირი



ოთხი ბაგირი

 – 0.08 ტ

ტვირთამწეობა (ტ)							3	2.57	2.17	1.93	1.72	1.61	1.36	1.23	1.09	1
ტვირთამწეობა (ტ)	6	5	4.34	3.81	3.39	3										
კაუჭის გადაწვდომა (მ)	13.74	16	18	20	22	24.24	24.76	28	32	35	38	40	45	48	52	55





განმარტებითი ბარათი

- ამწე მდებარეობს: ქ. თბილისი, ქუჩა დ. აბაშიძე N17; N14, მიმდებარედ; ქუჩა დ.აბაშიძე, N17/4.
- გამოიყენება კოშკურა ამწე "C5510-6t", რომლის კავის გადაწვდომის სიგრძე 55 მ-ის ტოლია.
- კოშკურა ამწემ იმუშაოს გენ-გეგმაზე ნაჩვენები სქემის მიხედვით: ტვირთების მიტანა შენობამდე მოხდეს დაბალ სიმაღლეზე, აწევა - შენობის ვერტიკალზე, სახურავზე გადავლებით სამუშაო ადგილზე მიტანა, დაშვება და ტვირთისაგან განთავისუფლება.
- მშენებლობის იმ ნაწილში, სადაც ამწის მუშაობა შეზღუდულია, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ხელით. დაცულ იქნას უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები.
- ტვირთების ჩაბმის წინ, წინასწარ უნდა იქნას გათვალისწინებული ამწის დასაშვები ტვირთამწეობა ტვირთის დაშვების ადგილას.
- არასამუშაო პერიოდში ამწის კავი უნდა აიწიოს მაქსიმალურ სიმაღლეზე, ურიკა უნდა მაქსიმალურად ამწის კოშკისკენ ახლოს მიიწიოს, ხოლო ამწის მობრუნების მექანიზმი გადაყვანილ უნდა იქნას პარკინგის რეჟიმზე (პარკინგი ნიშნავს ამწის ისრის თავისუფალ ბრუნს).
- ამწის მუშაობა უნდა შეწყდეს ქარის სიჩქარის 10 მ/წმ-მდე გაძლიერების შემთხვევაში.
- კოორდინირებული მოქმედების უზრუნველსაყოფად, ამწის მემანქანესა და ჩამბმელებს შორის უნდა დამყარდეს რადიოკავშირი.
- განისაზღვროს სახიფათო ზონის საზღვრები სათანადო ნორმების მიხედვით, თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები.
- სახანძრო უსაფრთხოება დაცულ იქნას „ᲮᲮᲑ“ 05 - 08 ნორმების შესაბამისად.
- ელეოექტრო უსაფრთხოება დაცულ იქნას „გოსტ“ 198 - 013 - 78 გათვალისწინებით.
- ყველა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაო შესრულებული იქნას ს. წ. და წ. III - 4 80*-ს „უსაფრთხიოების ტექნიკა მშენებლობაზე“ - მოთხოვნების დაცვით.
- მუშაობის დაწყების წინ მემანქანეს ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი ამწით სამუშაოთა წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.
- მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის, პასუხისმგებლობა განისაზღვრება „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ამწის დამიწების კერა

შენიშვნა

1. ამწის დამიწების წინაღობა არ უნდა აღემატებოდეს 4 ომს.
2. ამწის დამიწების ვარგისიანობის შემოწმება უნდა განახორციელოს სათანადო აკრედიტაციის მქონე სპეციალისტმა.





ნახაზი 2 - სქემატური ჭრილი



შენიშვნა: სამონტაჟო ამწის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად



KEY PLAN



SYMBOL LIST

	RJ45
	UPS
	CSB-
	UPS-
	SDB-
	/UPS
	MDB-

# ეტ	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	დღე	კალენდარული გეგმა - დარჩენილი სამუშაოები 26 თვე
			თვეები
			2024.სექტემბერ 30 1
			2024.ოქტომბერ 30 2
			2024.ნოემბერი 30 3
			2024.დეკემბერი 30 4
			2025.იანვარი 30 5
			2025.თებერვალ 30 6
			2025.მარტი 30 7
			2025.აპრილი 30 8
			2025.მაისი 30 9
			2025.ივნისი 30 10
			2025.ივლისი 30 11
			2025.აგვისტო 30 12
			2025.სექტემბრ 30 13
			2025ოქტომბერი 30 14
			2025.ნოემბერი 30 15
			2025.დეკემბერი 30 16
			2026.იანვარი 30 17
			2026.თებერვალ 30 18
			2026.მარტი 30 19
			2026.აპრილი 30 20
			2026.მაისი 30 21
			2026.ივნისი 30 22
			2026.ივლისი 30 23
			2026.აგვისტო 30 24
			2026.სექტემბრ 30 25
			2026ოქტომბერი 30 26
	მშენებლობის II რიგი		
	მშენებლობის განხორციელების ძირითადი პერიოდის სამუშაოები		
III	შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები და ნაწილობრივი ნაწილობრივი გამაგრებით	90	
	შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები		
	შენობა-ნაგებობის საზირკვლის მოწყობის სამუშაოები		
	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე		
IV	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან		
	ბლოკის "A"	180	
	-0.10---7.80მ ნიშნულამდე		
	7.80---15.70მ ნიშნულამდე		
	15.70---21.60მ ნიშნულამდე		
	ბლოკი "B"	60	
	(-0.15)---3.78მ ნიშნულამდე	60	
	3.78---11.73მ ნიშნულამდე	60	
	11.73---18.53მ ნიშნულამდე	60	
	18.53---25.33მ ნიშნულამდე	60	
	25.33---33.70მ ნიშნულამდე		
	ბლოკი "C"	60	
	0.00---6.50მ ნიშნულამდე		
V	ბლოკი "A"		
	შენობა ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა	60	
	ბლოკი "B"		
	შენობა ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა	60	
	ბლოკი "C"		
	შენობა ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა	60	
VI	ბლოკი "A"		
	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა	270	
VII	ბლოკი "B"		
	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა	390	
	ბლოკი "C"		
	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა	60	
VIII	ბლოკი "A"		
	შენობა-ნაგებობის ლოკალური და საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა	360	
IX	ბლოკი "B"		
	შენობა-ნაგებობის ლოკალური და საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა	360	
	ბლოკი "C"		
	შენობა-ნაგებობის ლოკალური და საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა	60	
X	ბლოკი "A"		
	ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი	120	
XI	ბლოკი "B"		
	ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი	120	
	ბლოკი "C"		
	ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი	120	
XII	ბლოკი "A"		
	შენობა ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	420	
XIII	ბლოკი "B"		
	შენობა ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	420	
	ბლოკი "C"		
	შენობა ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	150	
XIV	ბლოკი "A"		
	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშოები	210	
XV	ბლოკი "B"		
	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშოები	210	
	ბლოკი "C"		
	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშოები	210	

შენიშვნები: 1. მშენებლობის განსაზღვრული ვადის ათვლა განხორციელდება მშენებლობის ნებართვის აღების შემდეგ.
2. ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების გრაფიკით განსაზღვრულ ვადის დასრულებამდე

დაამუშავა: /ქ.როზიტაშვილი/